


ფასი : 6 კაპ.



**ფასი გაზეთისა :** წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ.,  
 სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ.  
 სულას მოწერა შეადგება რედაქციასა : (საპიორის  
 ქუჩა, № 43) და წერა-კაოსუას სწავლავლებას  
 მსდასაჲსა.

ყ რ ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე  
 კვირა-უქმე დღეების გარდა, დღიის 10 საათიდან  
 12 საათამდის და ნაშუადღევს 4 საათიდან სა-  
 დამოს (საათამდის).

**შ ი ნ ა რ ს ი**

თავისუფლება. — ჩონგურზედ, ლექსი ევლოშვილისა. —  
 გლეხის წერილები, ქართლელ გლეხისა. — ლექსი  
 თომაშვილისა. — გლეხი და მემამულე. — გლეხების  
 კავშირი რუსეთში, ოპოლისა. — ჩვენებური ამბები.  
 — რუსეთი. — სხანაზო არაკი.

**თავისუფლება**

იქნება ისეთი გლეხი, რომელიც იტყვის :  
 „მიწა თუ ჩავიგდე ხელში, სხვა არაფერი არ მიწ-  
 დაო ; მიწა მომცეთ, სხვა ყველაფერი თქვე-  
 ნი იყოსო“. იტყვის და კი არ ჩაუკვირდება  
 თავის სიტყვებს. დიდი უბედურება შეემთხვევა  
 ადამიანს და ბევრს გასაჭირს განიცდის, რო-  
 დესაც წინდაუხედველია და მოუფიქრებლად  
 მოქმედობს.

მიწა პარველი საქმეა, გლეხს უმიწოთ ცხოვ-  
 რება არ შეუძლია, მაგრამ მარტო მიწითაც ვერ  
 იცხოვრებს გლეხი და მიწასაც არაფერს შეარჩენს,  
 თუ მიწასთან ერთად არ მოიპოვავს თავისუფლე-  
 ბაც. თავისუფლება ჰაერია ყოველი ადამიანის-  
 თვის, მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია  
 იცხოვროს ისე, როგორც მას სურს და ვისაც  
 არ შეუძლია თავის ნებისამებრ ცხოვრება, ის

განა ბედნიერი იქნება? კაცი რომ შევებორკოთ  
 და დავატუსალოთ, მაგრამ კარგად რომ ვაქა-  
 მოთ და ვასვათ, მდიდრულად გამოვაწყოთ,  
 შშენიერ სასახლეში დავაბინაოთ, განა ის კმა-  
 ყოფილი იქნება?, არა ის ხმაჲდა დაიყვირებ-  
 და: გამიშვით, არ მინდა თქვენი სასახლე, თქვენი  
 ფარჩა და ოქრო-ვერცხლიო!

მაშ ნუ ვიტყვი, რომ მარტო მიწაა საჭი-  
 რო. საჭიროა თავისუფლებაც. აბა, კარგად  
 გავარჩიოთ, ახლო ვნახოთ, თუ რა არის ეს  
 თავისუფლება? თავისუფლება არის ის, რომ  
 ყოველი ადამიანი თვითონ უნდა იყოს თავისი  
 პატრონი, მომვლელი და გამძღოლი : რაც უნ-  
 და, ის ილაპარაკოს და წეროს, როგორც უნ-  
 და, ისე შეიკრიბოს და შეუამხანაგდეს სხვებს,  
 სადაც უნდა, იქ წავიდეს, როგორც უნდა,  
 ისე მოიხმაროს თავისი შრომა და შრომის ნა-  
 ყოფი, რაც უნდა, ის იწამოს და რომელ ღმერ-  
 თსაც უნდოდეს, იმას შეევედროს.

დღემდის რუსეთში მხოლოდ მონობა იყო  
 და არავითარი თავისუფლება არ მოიპოვებო-  
 და. ავიღოთ მაგალითისთვის გლეხების მდგომა-  
 რება. გლეხები ვითომ ყმობისაგან გაანთავი-  
 სუფლეს, მაგრამ წინანდელი ბატონების მაგი-  
 ერ ახალი ბატონები დაუყენეს — მოხელეები  
 (ჩინოვნიკები), რომელთაც ხელში ჩაიგდეს ყვე-  
 ლაფერი : მართვა გამგეობა, სამართალი, გლე-  
 ხის ქონება, პატიოსნება, სიცოცხლე და, რაც

ყველაზე უფრო წმინდა ადამიანისათვის, სარწმუნოებაც. არაფრის ნება არ ჰქონდა გლეს: განაგებდნენ მის ბედ-იღბალს, ასამართლებდნენ, ართმევდნენ ქონებას, დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ, როგორც უნდოდათ. არც საზოგადო, არც საოჯახო, არც პირად საკუთარ საქმეში გლესს არ შეეძლო ფეხის გადადგმა, თუ არ დაეკითხებოდა და ნებას არ თხოვდა მამასახლისს, ბოქაულს, მაზრის უფროსს. მისელებისათვის სასარგებლოა გლესების გაუნათლებლობა და უცოდინარობა, ამიტომ ცდილობდნენ, რომ გლესებს არ გაეხსნათ სკოლები, არ წაეკითხათ წიგნები და გაზეთები. მთავრობა, როგორც ერთგული მფლობარი მდიდრებისა, სულ იმის ცდაში იყო, რომ გადატაკებული მუშა ხალხი არასოდეს არ გამართულიყო წელში, არ ამოეღო ხმა მხავერდების წინააღმდეგ: ყველაფერს დიდი ბაჟი დაადვა, რასაც მუშა და გლესი ხმარობს, როგორცაა შაქარი, მარილი, სპიჩკა (წუმწუმა), თუთუნის, ნავთის და სხ. ბაჟი დაადვა აგრეთვე უცხოეთიდან შემოტანილს საქონელს; ამით, რასაკვირველია, ჯიბე გაუსქელა ადგილობრივ მწარმოებლებს და ვაჭრებს, რადგან არავინ იყიდდა უცხოეთის ძალით გაძვირებულს საქონელს, მაგრამ სამაგიეროთ ტყავი გააძრო ღარიბ ხალხს.

ასე იყო დღემდის და ასე იქნება მაშინაც, როდესაც მთელი მიწა გადაეცემა მუშა ხალხს, თუ ამასთანავე არ დამყარდა თავისუფლებაც. ვსთქვათ, რომ მიწა დაურიგდათ გლესებს, მაგრამ ისინი მაინც ბოქაულისა და გუბერნატორის ხელ ქვეით დარჩენ. მაშინ გლესი ვერ ისარგებლებს მიწით, ვერ დახნავს და ვერ დასთესავს, ვერ გაყიდის და ვერ დახარჯავს მოსავალს, თუ ნება არ აიღო ბატონ უფროსისაგან. თუ გლესი დღევანდელსავე მთავრობის ყურმოჭრილი ყმა იქნა, მთავრობა ათასნაირ გადასახადს და ბაჟს შეაწერს გლესს და რაც მიწისაგან შემოსავალი ექნება, სუყველაფერს მთავრობა წაიღებს. ვსთქვათ, რომ გლესს მიწა ექნება, მაგრამ სასამართლო ისევ ეხლანდელი მთავრობის ხელში დარჩება. მაშინ უთანხმოება და შეტაკება რომ მოუვა გლესს მდიდარ მემამულესთან, ვაჭართან, გლესი ვერასოდეს ვერ ეღირსება სამართალს: სასამართლოში გაბატონებული იქნება ისევ

ძალადობა, მექრთამეობა და მატყუარობა, სასამართლო ისევ მდიდრების და შეძლებულების ინტერესს დაცავს. ვსთქვათ, რომ გლესებმა მიწა მოიპოვეს, მაგრამ კანონი ძველებურად მთავრობის ხელში იქნა. მაშინ მთავრობა გამოსცემს ისეთს კანონს, რომ გლესებმა კვირაში სამი დღე მდიდრებისათვის უნდა იმუშავონ. ვსთქვათ, რომ გლესებმა მოიპოვეს მიწა, მაგრამ არ მოიპოვეს თავისუფლება. მაშინ გლესები ვერ შეიკრიბებიან თავსუფლად და ვერ მოილაპარაკებენ თავის ქირ-ვარამზე, ვერ ილაპარაკებენ თავისუფლად, ვერ გაიგებენ სიმართლეს, ვერ წაიკითხავენ იმ წიგნებს და გაზეთებს, რომლებიც მათთვის არის დაწერილი, გლესები ვერ შეერთდებიან და ვერ შეკავშირდებიან, რომ ერთათ აწარმოვონ თავისი საქმეები, ერთათ მოხნან და დასთესონ. ერთად გაასალონ ქირნახული, ერთათ შეიძინონ სხვადასხვა საქონელი; გლესებს არ ექნებათ იმის ნება, რომ თავისუფლად იარონ და ყოველი პოლიციელიც მათი ბატონი და ბრძანებელი იქნება, გლესებს არ ექნებათ იმის ნება, რომ ხმა ამოიღონ მთავრობის უსამართლობის და მყვლენავეების თავგასულობის წინააღმდეგ; გლესი ვერ გაიგონებს და ვერც თვითონ იტყვის მაშინ თავისუფალს და მართალს სიტყვას; გლესს არ შეეძლება ილაპარაკოს თავის დედა ენაზე, ისწავლოს, რაც მისთვის სასარგებლოა, ევედროს იმ ღმერთს, რომელიც მას სწამს. ერთის სიტყვით, გლესს ექნება მიწა, მაგრამ გლესი იქნება მონა, რომელმაც უნდა იცხოვროს ისე, როგორც ამას უბრძანებს მთავრობა.

ასეთი იქნება თავისუფლებას მოკლებული გლესის მდგომარეობა. ამიტომ ნურავინ იტყვის: მარტო მიწაო, არამედ ყველამ სთქვას: მიწა და თავისუფლება!

მიწის მუშა გლესკაცობამ უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის, უნდა მოიპოვოს თავისუფლებაც. თავისუფლებას მოიპოვებს გლესკაცობა და საზოგადოთ მშრომელი ხალხი, როდესაც გადააყენებს დღევანდელს მთავრობას, აღარ დასტოვებს არც უფროსსა და არც უნცროსს მოხელეს, თვითონ გაუძღვება თავის საქმეებს, თვითონ გამოსცემს კანონს, თვითონ დაადგენს სამართალს, იმოქმედებს თავისუფლად და არა ისე, როგორც უბრძა-

ნებს ბოქაული გუბერნატორი, მინისტრი ან თუნდ ხელმწიფე.

ვამბობთ : მიწა არავის საკუთრება არ უნდა იყოს, მიწა თავისუფალი უნდა იყოს. აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს მიწის მუშა გლეხ-კაცობაც. **თავისუფალი მიწა — თავისუფალ მუშებისათვის!**

ჩონგურზე

დავკრავ, დავძახებ ჩონგურზე ;  
მშველდო, არემო, ჯერანო,  
ქურციკო, კლდეზე ჩხტომო,  
გაუხედნაო მერანო ;  
თქვენა მჯობისნათ ისევე,  
დარბისნათ ალადხედა,  
მე კა მონა ვარ ბატანის,  
თოკა მახაა მკლავსედა !

დავკრავ, დავძახებ ჩონგურსე  
ვიტყვი : ნათო დილისა,  
ფათღების ტკბალო ჩურჩულდო,  
ვერსეო ღაღისის ზარისა :  
თქვენა მჯობისნათ ისევე,  
ხარობთ და სტკებთო გუდიოთ,  
მე კა სხვის კარსე ვათენებ,  
ჩამკალ - ცედიოთ და გუდიოთ !

დავკრავ, დავძახებ ჩონგურსე  
ვიტყვი : რა მწარე ბუდაა,  
მეც სამ კაცო ვარ და სხვის წინ  
რათ მამისრია ქედაა !  
შინ კერა გამციებია,  
სხვის კარსე დავთარება,  
პწეპოტე და პწეპოტე მანცა  
ვერ მოვიპოტე ვალებო !

ექვე, ამისთანა სიტყვსეკ  
სედა დამისლაა ქვისთვინა,  
ჩონგურდო, ჩემო ჩონგურდო,  
შენ რადამ ატყეათინა !  
მოიცა, რადაც სმა ისმის,  
ცისკარიც წათლათ ენათება,  
ამედა აბო კლეს კაცსიც,  
რამ ერთსეკ გაუთენდება !

მაშ არ გაკვიტედეს ჩვენ გულა  
ჩონგურდო, ტკბალო სმანო,  
ველზე გასულა ბაჭება  
ბრძოლისთვის გვეძახანო !  
აქით გაწვათო, დავძახათ,  
ჩავაწვრავლოთ სიმება,  
ვაქათო, ვადიდოთ ჩვენთვის  
თავდადებული გმარება !

ჩონგურდო, ჩემო ნუგეშო,  
ჩონგურდო. ტკბალო სმანო,  
მტერსე მისულა ბაჭება,  
ბრძოლისთვის გვეძახანო !

ი. ევლოშვილი

გლეხის წერილები

მთავრობა

წინა წერილში მე ვთქვი, რომ მშრომელ გლეხობას ბევრი დამჩაგვრელი ჰყავს მეთქი. გლეხებს სჩაგრავს და იბრიყვებს პოლიცია, მთავრობა, მემამულე და ძალიან ხშირად ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ჯიბე გაუსქელელებიათ და თავის სუსტ მოძმეს სულს უხუთავენ.

დავიწყით თავიდან.

რა არის და რისთვის არის მოგონილი პოლიცია? ვინ დაუყენა ხალხს ბოქაული, ჩაფარი, გუბერნატორი და მამასახლისი? რას აკეთებენ, ან ვის ემსახურებიან ეს მუქთახორა ავაზაკები?

პოლიცია იმისთვის არის მოგონილი, რომ მდიდრებს მშრომელ ხალხის გაყვლეფაში ხელი გაუმართოს და, თუ გაკირდება, იარაღით მიეშველოს. ბოქაულები, ჩაფრები, გზირები, მამასახლისები და ამისთანა წურბელები ხალხს მოახვია მთავრობამ, მინისტრებმა, მეფემ, რომელნიც ყურმოტკრილი მონები არიან მდიდარ მემამულეებისა და ვაჭრებისა. ყველანი ემსახურებიან სიმდიდრეს, ყველას უნდა გამდიდრება, მაგრამ რადგან პატროსან შრომით შეუძლებელია გამდიდრება, ამიტომ გველაძეებმა და ვაჭნილებმა ასეთი ხერხი მოიგონეს : ხალხი უგუნურია, ბოროტია, უკჳუა და არ იცის, რა არის მისთვის სასარგებლო და რა არაო. ამიტომ ხალხს პატრონობა და ყურისგდება უნდაო. პატრონად ხალხს დაუყენეს მეფე, თვითონ კი ამ მეფეს გარს შემოეხვივნენ

და ხალხის ოფლითა და სისხლით დაიწყეს ცხოვრება, პარპაშობა და ფუფუნება.

ვინ არის მეფე?

ჩვენი მეფე არის ყველაზედ მდიდარი კაცი მთელ ქვეყანაზე. მარტო იმას და იმის ოციოდე ნათესავს მთელ რუსეთში აქვთ სამოცი მილიონი დესეტინა მიწა, ესე იგი, ათჯერ მეტი მთელ საქართველოზე. წელიწადში შემოსდის რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი, აქვს აუარებელი სასახლე, ბაღები, ვენახები და სხ. მაგრამ მეფე ამას არ კმარობს და წელიწადში ხაზინიდან 14 მილიონ მანეთს იღებს. ზოგი იტყვის, მეფე მდიდრულად უნდა ცხოვრობდესო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ განა ორ-სამ მილიონით არ შეიძლება მდიდრულად ცხოვრება? ძალიან კარგად შეიძლება, მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ის არის, საიდან იშოვა მეფემ ამოდენა სიმდიდრე? საიდან და ხალხის ზურგიდან, ხალხის ოფლიდან, ხალხის ნამუშევარიდან. აბა სად არის სამართალი: რაც ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს გლეხობას მიწა აქვს, ათი იმოდენა მარტო ერთ კაცს აქვს!

მაგრამ ამოდენა მიწა განა მარტო მეფეს აქვს? სულაც არა! მეფესთანა მდიდარი არავინ არის, მაგრამ იმისთანა კი რამდენიმე ასი ათასია, რომელთაც აუარებელი მამული და სიმდიდრე აქვთ. მშრომელი ხალხი ამ უსამართლობას ხედავს, მაგრამ ჯერჯერობით ეს უსაშლობა ვერ მოუსპია.

რატომ, რა ამბავია?

ის ამბავია, რომ ვინც ასეთ უსამართლობას არ დაემორჩილება, ვინც თვითონაც თვალს აახელს და სხვებსაც ასწავლის რამეს, ვინც მოინდომებს ასეთ უსამართლობის მოსპობას, მას მაშინვე თავზე მოახვევენ ჩაფრებს, ბოქაულებს, მთელ პოლიციას, სასამართველოს და ან ციხეში ჩასვამენ, ან ციმბირში გადაასახლებენ, ან სახრჩობელაზე აგზავნიან. მერე რათა შერება ამას მთავრობა? იმიტომ რომ ის თავის თავსა და მუქთახორა მდიდრებს იცავს და უყარაულებს. მერე რა შუაშია აქ მეფეო, იკითხავს ვინმე. როგორ არ არის შუაში! მეფე ბელადია, მეთაურია, წინამძღვარია მთავრობისა და ყველაფერი, რასაც მთავრობა

სჩადის, მეფის თანხმობით ხდება. განა მეფემ არ იცის, რომ მთავრობა ხალხის ფულს ფლანგავს? განა მეფემ არ იცის, რომ მთავრობა ხალხს უზომოდ სტანჯავს, იკლებს, აწიოკებს და აოხრებს? განა მეფემ არ იცის, რომ წრეულს მთელი საქართველო გადასწევს და მიწასთან გაასწორებს? როგორ არ იცის! ძალიან კარგად იცის, მშვენივრად იცის! მერე რას ამბობს, რას შერება? აჯილდოვებს, აქებს და თავზე ხელს უსვამს ამ მთავრობას. მამასა-დამე, მეფე მათი მომხრე ყოფილა. ან რატომ არ იქნება მათი მომხრე, როცა ისინი მეფესა და იმისთანა მდიდრებს ემსახურებიან! ერთგულ მონას და მოსამსახურეს ქება და საჩუქარი უნდა, თორემ ტყუილ უბრალოდ არავინ არ მოინდომებს სამსახურსა და მუშაობას.

მეფის პირველი მოსამსახურენი არიან მინისტრები და სენატორები. მინისტრებს მოსდევს გუბერნატორები, გუბერნატორებს — მაზრის უფროსები, მაზრის უფროსებს — ბოქაულები, ბოქაულებს — მამასახლისიბი, მამასახლისებს — გზირები, ხოლო გზირებზე ქვევით დგას აორმოცი მილიონი ხალხი, რომელიც მუშაობს და ოფლსა ღვრის ერთი მუჟა მთავრობისთვის და მდიდრებისთვის. მაგრამ მთავრობა მარტო მინისტრებისაგან და გზირებისაგან არ შესდგება. მთავრობის მარჯვენა ხელს შეადგენს სასამართლო და სამღვდელეობა.

სასამართლო იმიტომ არი გაჩენილი, რომ მართალი და მტყუანი გაარჩიოს, ძლიერს სუსტი არ დააჩაგვრიოს და ყველგან და ყველაფერში სიმართლე დაიცივას. მაგრამ ვის იცავს ეხლანდელი სასამართლო, მართალსა თუ მტყუანს? ძლიერსა თუ სუსტს? მდიდარს თუ ღარიბს? ყველამ კარგად ვიცით ვისაც ემსახურება და ვისაც იცავს ეხლანდელი სასამართლო. ათასი მართალი იყოს ღარიბი და ათასი მტყუანი იყოს მდიდარი, სულ ერთია, სასამართლო მაინც მდიდარს გაამართლებს და ღარიბს გამტყუნებს. საცა უფალია, საცა ძალაა, სამართალიც იმის მომხრეა. სად შეუძლიან ღარიბ-ლატაკს სასამართლოში მთელი წლობით სიარული, ვეკილების დაქერა და აუარებელ ფულის დახარჯვა? მდიდარი კი ფულით ყველაფერს გააკეთებს. მისცემს ფულს ვეკილებს და ისინი მოუვლიან იმის საქმეს. ეს ყველას

გამოვიცილია და ყველამ კარგად ვიცით, რომ სამართალი ფულით ისყიდება, ფული კი მართლმდიდრებს აქვთ, მოსამართლე კი მდიდრების მსახურია და აბა როგორ გაბედავს თავის ბატონის გამტყუნებას და გაჯავრებას?

მაგრამ სასამართლო არაფერია სამღვდლოებასთან შედარებით. ჩვენი მღვდლები, ეპისკოპოსები და ყველანი, ვინც ანაფორას ატარებენ, მთავრობის ყურნოქრილი მონები არიან. ამათზე ორბირი, ორგული, გამყიდველი, ცრუ და მატყუარა ხალხი ჯერ ქვეყანაზე არ გაჩენილა.

ბევრი რამე მაქვს სალაპარაკო მღვდლებზე, მაგრამ ეს შემდეგისთვის გადავდოთ.

**ქართლელი გლეხი.**



\* \* \*

(გადმოკეთებული).

უცხოელები გვეწვიენ, —  
მიწა მოგვკადაე ფასადა,  
არ დავიშურებთ ოქროსა  
და მოგცემთ ერთი ასადა!

— ვაჭრად მოსულა სტუმარო,  
რად დაგვინახე ავადა?  
სამშობლას მიწა მოგვიადო?  
სურათუნს უკაცრავადა!...

შენ ჩვენი გულის ნადები  
არ იგი - რაღა დროისა : —  
ვინც მიწით ვაჭრობს, — ჩვენ თვალში  
ველური, ბანბანოისა!...

ოქრო და ვერცხლი ბევრი გაქვს,  
თვალ-მარგალიტის სარ მქონე,  
და ჩვენი მიწის სეიდლად  
მიანც არ შეგწვეს ძალ-დონე!

ვაქვიათ, რომ დასცალე სწახანა  
ჩვენ ტურფა არე-მარეში,  
რას ფასს გაიდებ, გვახსნაო,  
სამშობლო მნათობ მთვარეშია?

ჩვენ რომ მიხას სსოვი ფანჯრებში  
დამიღოთ გველამუნება, —  
რას ფასად გინდა იეიდო  
ჩვენი დამაზი ბუნება?

ტყის ადუშალი შრიალი,  
ან ველ-სათაბის ბაბანი,  
ან ბალ-წალკოტი შემეყუა,

ან ზეცა ჩვენი გვირგვინი?

ან წმინდა ძვლები მამების,  
და-ძმთა სოფლაფ-სმარე,

ან ია ზედ-ამოსული,

ან ჯვარი მასზე მდგამარე?

მთას შიკრდით გადმოხეთქილა

ჩანჩქერ-ნაკადი ჩხრიალად,

ან ცვარი ზეცის მანანა

და აღმასივით ბრჭკვიად?

ვაზი რქა-ფოთოფ-მტკვანა

შეწმასხულ-შეკრესილება

და ან ფრანკულთა ტიკტიკა,

საამო ძიღის ზარები?

ბუღბუღის სტკვან-რანაკაი,

გულის მნათობად შვენესარე,

სან ავსნებული ცათმდე,

სან სეუდასა, შვენესარე?!..

ანა და ანა, ვაჭარო,

ანა, არ შეგწვეს ძალ-დონე,

თუმც მდიდარი ხარ ოქროთი

და მთვე თავის მამწონე!..

სამშობლო მიწა ჩვენ თფლით

გავვიბან-შევიამოსია

და ვინც მას ეიდის, ეიდულობს, —

ველური, ბანბანოისა!..

**დ. იომაშვილი. —**



**გლეხი და მემამულე**

რევოლუციის ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდება სოფელში. მოძრაობის ტალღა იზრდება და გლეხები დღით დღე რევოლუციონერდებიან, უფრო გაბედულად და თავგანწირულად ეკიდებიან საერთო საქმეს, მედგრად იბრძვიან. მთელს რუსეთს მოედვა არეულობა : გლეხები ძარცვავენ და სწვავენ მემამულეების სახლ-კარს, ჩეხავენ მათ ტყეებს, ხნავენ მიწას, თიბავენ მინდვრებს, თავისთვის მიირეკავენ მემამულეების საქონელს. კეტებით, ნაჯახებით და იარაღით უხვდებიან გლეხები ყაზახებს და დარაჯებს, რომელთაც მთავრობა ჰგზავნის მათ წინააღმდეგ. ყველგან გამწვავდა მემამულეების და გლეხების დამოკიდებულება. გლეხები დასცინიან და ემუქრებიან მემამულეებს.

გაჰქრა საშუადად გლენების მორჩილება და მოთმინება. გაჰქრა ის დრო, როდესაც გლენი იოლად იტანდა სიმშოლსაც და გაწყრომა - გამათრახებასაც. წინათ რომ მთავრობის კაცი ან მემამულე უსამართლოთ დახაგრავდა გლენს, გლენი მწარეთ ამოიოხრებდა ხოლმე, კისერს მოიფხანდა და იტყოდა თავის გულში: ასე უნდა ვიტანჯებოდე, ღმერთს ასე გაუჩენია ქვეყანაო.

ახლა სულ სხვაა. გლენებმა ახლა ხმა ამოიღეს. ახლა გლენები უდებენ პირობას მემამულეს, გლენები აწესებენ იჯარის ფასს და საშუაო ქირას. თუ გლენები მშიერნი არიან, სტეხავენ მემამულის ბელელს და მიაქვთ პური. თუ მემამულე უზომო საიჯარო ფასს ადებს თავის მიწას, გლენები ძალით ხნავენ მის მიწას და არაფერსაც არ აძლევენ.

დღეს გლენები მეტის მეტად გაჭირვებულნი არიან, გაღატაკდნენ უზომო გადასახადებისაგან, უფრო კი შეწუხებულნი არიან უმიწობით. მემამულეები სარგებლობდნენ ამით და მუდამ ტყავს აძრობდნენ გლენებს: დიდი საიჯარო ქირა, ჯარიმები, სესხის სარგებელი — ყველაფრით ავიწროებდა მემამულე გლენს. ბატონყმობა მოისპო ქალაქებზე, ნამდვილათ კი არსებობდა და გლენი ისევ ყმა იყო მემამულისა. მიწა მემამულის ხელში იყო და გლენსაც არაფერი შეეძლო, თუ მემამულეს არ ეყმებოდა. ასე იყო დიდხანს: მემამულეები ქეიფობდნენ და იღბენდნენ, გლენები კი მუშაობდნენ, იტანჯებოდნენ და უდროოდ კვდებოდნენ.

ასეა დღესაც და იქნება კიდევ, სანამ მიწა არ ჩაიწორთმევა მემამულეებს. გლენს არა აქვს პური, არა აქვს თესლი, არა აქვს საკმელი და სასმელი. გლენი მშიერია, ავით არის, — ეს გაუგებარია მემამულესათვის, ამას დარდი არა აქვს. გამწარებული გლენები ხშირათ სამაგიეროს უხდიან მემამულეებს: მოგილოვის გუბერნიისაში ერთმა მემამულემ მიწა არ მიაქირავა გლენებს, გლენებმა აიღეს და მოჰკლეს ის. კიევის გუბერნიისაში გლენებმა სთხოვეს მემამულეებს, ნაქერ-ნაქერად

მოგვეყიდეთ მიწებიო; მემამულეებმა ყური არ ათხოვეს. მაშინ გლენები დაეცნენ მემამულეების სასახლეებს და სულ გაანადგურეს.

მთავრობა, რასაკვირველია, მემამულეების მხარეზეა და არაფერს აკეთებს გლენების სასარგებლოდ პირიქით, სოფლები სულ სალდათებით და ყაზახებით აავსო, რომელთაც ნაბრძანები აქვთ აიკლონ გლენები, თუ გადასახადს არ მისცემენ და წინააღდეგობას გაუწევენ მემამულეებს. გამოჩენილმა ალიხანოვმა ასე შეუთვალა გურულ გლენებს: „მე გელაპარაკებით თქვენ სიტყვით და გიცხადებთ, თუ სამი დღის განმავლობაში არ შემოიტანთ ყველა გადასახადებს, მაშინ გამოგიგზავნით პოლკოვნიკ კრილოვს, გავრილოვს, რომელნიც ზარბაზნებით დაგიწყებთ ლაპარაკსო“. ასე ემუქრებოდნენ ხალხს, რომელსაც საკმელი და პური არ გააჩნდა სახლში!

მთავრობა ემუქრება, სდევნის და მხეცურად ეპყრობა გლენებს. სამაგიეროთ ტკბილის ენით ესაუბრება მემამულეებს და ყოველს საშუალებას ხმართბს, რომ გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა. ამას წინათ მთავრობამ შეუთვალა თავის გუბერნატორებს: „მემამულეებზე რომ სახელმწიფო გადასახადია დარჩენილი, ნუ შეაწუხებთ ამისთვის, ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილად შემოიტანონო“.

ასეა ყოველთვის: მთავრობას ებრალება შეძლებული ხალხი, მემამულე თავად-აზნაურობა, მაგრამ არ ებრალება დაბეჩავებული და გაღატაკებული გლენკაცობა. აპიტომაც არის, რომ აღსდგენ გლენები: აღარაფერში ენდობიან მთავრობას, კარგათ გაიგეს, თუ ვისი მეგობარიცაა მთავრობა, და დაიწყეს ბრძოლა, რომ ძირს დასცენ მთავრობა, დაამარცხონ მემამულეები და მთელი მიწა გადასცენ მიწის მუშებს.

#### ზ ლ ე ხ ი ს კ ა ვ შ ი რ ი რ უ ს ე თ შ ი .

— : —

„ბუკრა თავის და სელასი ჭარამქო და ერთა ზარასია“, ამბობს ჩვენს ბუკრა ძველი ანდაზა და

სწორეთაგან რომ ჭკმშიატიკების ამბობს; სხდ ურთი კაცის ჭკუა-მასწრაფება და სხდ ათის, ასის და სასის. ეოველ სჯიმეს აქვს კარგ მხარესთან ცუდი მხარეც. ზოგი კაცი ამისთვისაც, რომ მართო სჯიმის კარგი მხარის შეგნება შეუძლიან და ზოგი კადვე ასეთია, რომ მართო ცუდს დაინახავს. ბევრი კი, რომ ერთათ მოთიფრებენ და მოილანზარებენ, ადვილად გამოარკვევენ სოღმე აყვაც და კარგისაც, და სჯიმესაც უკეთ მოაწვობენ. შეთანხმება სჯიმითა თითქმის ეოველ სჯიმისათვის. ძველი ზღაპრები მოგვითხრობენ: მამა რომ შეიღებეს ანდერძს უტოვებს, ეოველთვის ამს ურჩევს, ერთად და თანხმობით იცხოვრეთ, თორემ თათო-თითოდ მტერი დაგძლეოთ და უკვლახი დაიღუპებითო. ცხადი მკვლითი გვიდგას უკვლახს თვალ წინ ერთ ზირობას და თანხმობას სარგებლობას. ამ ორი კვარას წინეთ თბადისის ტრამვასი (კონკას) მოსამხსოურე-მოამუშავებმა შეკრეს ზირობა ჯდარაყის არ ემოქმეზს, ვიდრე მათი მოაჯრობა არ მოიღებდა უკან მათ სუთ დათხოვნიად ამხანგებს და არ გააუფობებებდა მათ სმსხოურის ზოგ ზირობებს. ბევრი ისტუნეს ტრამვასი ზეტრონებმა და ბევრი იცეს თავში; თვით გენერალ-გუბერნატორიც კი ასეინილით ასტუნევეს, მკგრამ ვიხემ არ დაკამათიფილეს მათი მოთხოვნილებანი, ფესიც არ მოიგვალეს. ეოველი დღე კი ტრამვასი ზეტრონებს დიდი ხარჯი მისდით და მეტი რა გზა ჭქინდათ, რომ არ დასთანხმებულთიფენ. დაკამათიფილეს მუშები. ან რა სჯიმითა ზღაპრები და მკვლითები, ეს ისეთაც ცხდად ეველასთვის, მკგრამ სჯიმე იმშია, რომ აქამდის ამ ერთ ზირობას და შეკავშირების ნეთით სარგებლობენ მხოლოდ მდიდარი მექარხნები, სოვდაგრები და მემამულეები. სერსონის, ზოდლის, ზოდტავის, კიევის და კადვე სხვა გუბერნიების ვლესები უმოაჯრესდ ჭარხალს სოესევენ. ამ ჭარხალს წვენიდგან მექარხნები ამხანგებენ შქარს, მკგრამ რადგან მოიფანა ჭარხალის და მომზადება შქარისა სხვა და სხვა გუბერნიებში სხვა და სხვა ფასად უფლებათ მექარხნებს, ამიტომ ზოგი ქარხნა უფრო იათფდ ჭეიდიდა შქარს და მისი ქარხნის შქარო უფრო ვრცელდებოდა. მეორე ქარხნა შექიშებოდა და ესეც ამდენსაც და ზედმეტსაც დააკლებდა ფას და სმორად შქარის ფასი ძლიან ეცემოდა და მექარხნები ზარდალობდენ. მექარხნებს ეს არ მოეწონათ,

რადგან ველარ იღებდენ ამდენ სარგებელს, როგორც წინეთ და ამისათვის შეკავშირებენ, მოილანზარებენ და შეკვიტენ ერთმანეთს, რომ ერთმეორეს შეუკითხვად არაყის არ შექედოს არც დაწვევა და არც აწვევა შქარის ფასისათ და ახლასეინც აქცევიან. მოაჯრობამ არამც თუ დაუშლას ასეთი შეკავშირება, ხელიც შეუწყო, თითონ გამოუჩინარაშა მექარხნებს რამდენი შქარო უნდა მოემზადებინათ წელიწადში, რომ მეტი არ დაარჩენიდათ.

შეკავშირებულნი არიან აგრეთვე ბაქოს ნავთის ქარხნების ზეტრონები. შეკავშირებანი სოღმე და დაწვესებენ ნავთის ფასს. მეტი რა გზა გაქვს, რომ არ აძლიათ, რასაც ასინა გიბრძინებენ. „თუ არ გნებავს, მიბძინდით“ გუებნიებანი, ბარემ კი წავადლოდა ხალხი და მოძებნიდა უფრო ათე ნავთის, მკგრამ ვინ გაძლეეს ნებანი. მეფეც იმათ მხარესეა. მეფე იმათ მხარესეა რომ არ აეთს, ხალხი ამერეის ნავთის დაუწვევდა სარჯვას. ამერეია სომ ძლიან შირს არას, ახა აქიდგან აქ ნავთის მართო გადმოტანა რა უნდა დაჯდეს, მკგრამ მოაჯრობას რომ დიდი ბაჯო არ დაეწვესებანი ამერეის ნავთისეა, ის უფრო ათეა გააიფიებოდა აქ, ვიდრე ხეინი ნავთი და თავში კი ქვას არ იხლიდენ ხეინი მენავთეები და არ დააკლებდენ ფასს?

რაც დღე მადის, ნავთი უფრო და უფრო ძვირდება. რა მოსეჩინა? განა ნავთის მრეწველობას სეირი არა აქვს? ჭია-ჭია, რომ აქვს. გუშინდელი მეკურტნეები დღეს მილითანი ზეტრონებად გადაიქცენ და რაში ეტეობან, რომ სეირი არა ჭქინდეთ. სხედან ბატონო, ეს ღიბანება ესდა სმსლვარგარეთ და უთვლიან მეფეს: „დიდი ზარალი მოგვადენეს მუშებშია“, იმს ხომ ადარ ფიქრობენ, რომ იმავე მუშების წყალბობათ უხსრიალებით მათ მილითნება, „ადარ შეგვიძლიან მუშობობა“; მეფეს შეებრალა ეს „სწველება“, გადაუბობა ოცა მილითანი უსარგებლოდ და შეუთვალა „ნუ გეშინათ, მე თქვენ მხარეს ვარო და თუ არ მოისევენს სწახილარმა თქვენმა მუშებმა, დაეასევე ვარებს და სულერთანხად ამოგხორცა“. შეკავშირდენ მარშან რუსეთის მემამულეები, რომ სურთით დაეწვენებათ სოჯარო ფულის რაოდენობა, ფასი მომკვლეებისა და სწახილარო სოფლის მუშის ხელ-ფასი, შეიფიცენ ერთმანეთს, რომ არაყის გადსუღიფო დადებულ სიტუვას. მოაჯრო-

ბამ ამათაც ხელი მოუწყო. უბრძანა თავის გუბერ-  
ნატორებს დახმარება ამოეხანათ შემამულეების-  
თვის და თუ მოათხოვდენ ჯარებიც გაეგზავნათ  
მათთვის.

კავშირების შედგენა იყო დაშლილი მართლ  
მშრომელ ხალხისთვის. ბევრჯერ შეეცადა გლეხ-  
კაცობა შეკავშირებინა, მაგრამ მიუღო და მისი მთავ-  
რობა ეთველთვით ასეთს ზომებს ხმარობენ მთ  
წინააღმდეგ, რომ გლეხები ძალა-უნებურად ვერ  
უერთდებოდენ ერთმანეთს და ცალ-ნაღვე დას-  
ტიროდენ თავიანთ უკუღმართ ბედს. მხოლოდ ამ  
ბოლოდროს, სწორეთ ამ გარემოებებში, რომ მთავ-  
რობა ეწინააღმდეგებოდა გლეხების შეამხმარებებს,  
გამოაწვია რუსეთში გლეხების მტკიცე კავშირის  
დაარსება. სჯამე ასე იყო.

შარშან როდესაც რუს-აზიონელთა ომი გაძლი-  
ერებული იყო, მოსკოვის გუბერნატორმა კრისტამ  
და გენერალმა სამარინმა განაზრახეს მოსკოვის  
გუბერნიას გლეხთა სხელათი შეედგინათ წერილი  
ხელმოწივეს სხელათობაზედ. ამ წერილათ უნდა ეთ-  
ხივათ გლეხებს, რომ არამც და არამც მიუღეს ომი  
არ შეეწყვიტათ რუსეთის სრულ გამარჯვებამდე.  
ხელმოწივერა მოსკოვის გუბერნიას გლეხთა შორის  
ძალიან ცოტა აღმოჩნდა. ამის ნივთად კი გლეხთა  
შორის აღიძრა სურვილი სავსებით კავშირის შე-  
დგენისა. ამისთვის იენისში გაამართა კრება, რომ  
მელსაც დაესწრო 22 გუბერნიადან 100 წარმომად-  
გენელი გლეხებისა და 25 განხალებული კარცა  
(ანტიკლიკერიტი).

კრებამ უწინარეს ეთვალის: გამოაკვლია ის დედა  
აზრა, რომელიც სთუფუხვდად უნდა დადებოდა  
გლეხების კავშირის წარგანმას, შეამუშავა მომხ-  
ვალ მოქმედების ტექსტი და მოწივობა. მტკიცედ დიდი  
კამათი გამოაწვია ამან, თუ ვინ უნდა ეთვალაყო  
კავშირის წევრად. კრებამ დაადგინა: „ამ სჯამის  
გადწვევით დროებით მიენდოს ადგილობრაჲ ორ-  
განაზრებებს \*) და სბოლოთა გადაწვევით კი ტ-  
დაიდოს მეორე სავსებით კრებისათვის“.  
ორგანიზაციის (კავშირის მოწივობის) შესახებ კრებამ  
დაადგინა: „ამ კრებამ ამაირჩიოს უმთავრესა კომი-  
ტეტი (იყო ანტიკული 8 კარცა, რომელნიც დაჩიენ  
მოსკოვში და ამ დღიდანვე შეუდგენ თანამდებო-  
ბის აღსრულებას) და დაარსებულ აქნის სავსებერ-

ნიო, სამაზრო, სამამსხლათო და სხათოლო ორ-  
განაზრებებია“.

კამათიდან გამთორკვე, რომ ადგილობრა კავ-  
შირების შესადგენათ უფრო მთისხერხებელი და  
ხელ სავრელი აქნება შემდეგი მოქმედება: სთივე-  
ლში, უკვე შეგებული გლეხთა დახმარებათ ხდება  
კრება. კრებას ესწრებიან მსურველნი, განუზრე-  
ვად სქესისა, ვინც კი 20 წელიწადს მიაღწია. ამ  
კრებაზედ დამხმარებელ ბაურთს წევრთა შემწეო-  
ბით, ორკვევს წროგანმას და აზრა სრულიად რუსე-  
თის გლეხთა კავშირისა. თუ კრება დაადგენს, რომ  
სურს ჩეწეროს სრულიად რუსეთის გლეხთა კავ-  
შირში, ასეთა დადგენილება ეგზავნება სამაზრო  
ან სავსებერნიო ბაურთს. ადგილობრაჲ კავშირის  
მამდანიზე სჯამეების განხილვად კი სდგება: ად-  
გილობრაჲ კომიტეტი. მუხობელ სთივლების კომ-  
იტეტებია თავიანთ წრიდან დახურულთს კენჭის ერთო  
ორხევეს სამამსხლათისა ან სამაზრო კომიტეტს,  
რომელიც უნდა აზრუნოს მთელთს მამრათისთვის და  
ეცადოს ასელ სთივლების შეერთებისათვის. ამ რავა-  
დვე მამრათს კომიტეტების წევრებია ორხევეს სავსებ-  
რნიო კომიტეტს, რომელიც განაკებს მთელ გუბერ-  
ნიას და რომელსაც ურთო-ერთობა აქვს მთავარ კომი-  
ტეტთან. როდესაც სავსებერნიო კომიტეტი სდგება,  
დამხმარებელი ბაურთ თავისათ ბათილდება (ანაზობა)  
და გლეხთა კავშირის სჯამის განხილვას თავი  
გლეხებია კისრულთბენ.

კრებების მოქმედა, დადგენილებიანი და ეთველი  
მოქმედება სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის  
საქვეყნოდ გამოაცხადდა, სჯამის მეთაურებმა ეთველი  
საშუალება ამხმარეს, რომ გამოეკარავებინათ მსო-  
ლოდ თვითონ გლეხების ნამდვილი აზრა და მის-  
წრათება, მაგრამ გლეხების კავშირს თავიდანვე  
ბევრა მტერი გაუნდა, რომელნიც ათასწიარ ცილის  
წამებას ავრცელებდენ კავშირის შესახებ. არწმუნე-  
ბდენ ეველას, რომ ამ კრებებზე გლეხებია არ ევე-  
ნენო და სხვა. ეველას აკათხვას, ვისთვის რა სავარო  
ყო სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის დამცო-  
რება? მკარა: ამისთვის, ვისთვისაც გლეხთა კავ-  
შირის მოქმედება არა ხელსაწყოელი და ვისაც გლე-  
ხების მძღავრებამ ხმამ ძილი დაუთვრთხო და შეუძღვა  
მშუადობიანი განცხრობამ სსვისო ოფლოთ გაშენე-  
ბულ სისხლსეში. ესენა ეველანი ერთხმად ასათი-  
ნებდენ: „არაქა, ვაღუებთათ, გლეხებია აღარ ევე-  
რდებიან ამ თასს, რასაც ჩვენა მოწყალება განუ-  
ბობდეს სოღმე მათ, გლეხებია მათის წარამეკას

\*) ორგანიზაცია ნიშნავს კავშირს, მოწივობას. იმავე  
წლის ნოემბერში მოსკოვში გაიმართა ახალი კრება რომელი-  
საც დაესწრო 28 გუბერნიის წარმომადგენელი, 150 კაცი.

გვაქადიან, არაქა გვაშეკლეთ, მოგვაშეკლეთ თოფ-ზანბაზანი და ჩაწვეეტანეთ ხმაო“. შაგრამ ამაოდ, ბატონო მუქთა ხორება და შათ დაძველნა! შორხა თქვენა ბატონბაბა! გლეხკაცბაშ შეიგნო თავისი ძალა. აგა ათა ათასობათ უერთდებუ გლეხთა კავშირს, რამდის ბანადღესედაც დიდის სსოპობათ დედის ძუძუსთან ერთად ჩანახახი სიტუეება „მაწა და თავისუფლებუ“ აწერათ.

ობოლი.

## ჩვენეზური ამბები

### ყუმბარების სროლა

26 ივნისს ბათუმში ყუმბარები ესროლეს ურიადნიკს დიმიტრი მგელაძეს და სტრაჟნიკ ცეცხლაძეს (ორივენი გურიაში „მოღვაწეობენ“), მაგრამ ვერა დააკლეს-რა.

### პოლიციელების მოკვლა

ყვირილაში მოჰკლეს სტრაჟნიკი პ. კიკნაძე. ბაქოში მოჰკლეს პოლიცემისტერის თანაშემწე უგენტი. — ტფილისში სასიკვდილოთ დასკრეს უანდარში პეტრენკო.

### ჯარის აჯანყება

უკვე ვწერდით, რომ აღექსანდრეპოლში ჯარი ღელავს. ეხლა გვატყობინებენ: 26 ივნისს აქ პირველ და მეორე საპიორთა ბატალიონში, რომელიც ტფილისიდან ჩამოიყვანეს, აჯანყება მოხდა. მიზეზი ის იყო, რომ გავარდნილა ხმა, ვითომ ტფილისიდან მიეყვანათ აქ დასახვრეტად 27 სალდათი მინგრელსკი პოლიკისა. სალდათები იარაღით ხელში გამოსულან, მაგრამ გამოუწვევიათ დრავუნთა პოლიკი, ყაბარდინის ქვეითა ჯარის პოლიკი და არტილერია და აჯანყებულ სალდათებისთვის ცხრაასი თოფი აუყრიათ.

ქუთაისში მყოფი სვანები მეტად შეშინებული არიან. ქალაქში ხმა დადის, რომ სვანეთის „დასაპყრობათ“ იგზავნება ჯარი და თუ მკირეოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებენო. შეფიქრიანებული სვანები საგონებელში არიან ჩაცვივნულნი და არ იციან რა გზას მიჰპართონ, რომ სვანეთს საფრთხე თავიდან ააცილონ. დებეშის გავზავნა განუზრახავთ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის სახელზე, მაგრამ

ამით ეშველება რამე?! აი შემთხვევა, როცა დასავლეთ საქართველოს ამომრჩეველებს შეეძლოთ თანთანთი აზრი გამოეთქვათ ამ საგნის შესახებ და ეცნობებინათ.

### სალდათების მიტინგი ბათუმში

ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 25 ივნისს სალდათებს მიტინგი გაუმართავთ. მიტინგს დასწრებიან: არდაგანლები, სანაღმო როტა, საპიორები, მე-5 და მე-6 როტის არტილერისტები, ბატარეის 1, 2, 3 და მეოთხე როტები და თბილისის მსროლელი ბატალიონი. სალდათებმა გარშემო პატრულები დაიყენეს მიტინგის დასაცავათ. ცოტა ხნის შემდეგ ერთ სალდათთან მივიდა აფიცერი და დათხოვნის ბილეთი მოსთხოვა. სალდათმა პასუხის ნაცვლათ ამოიღო ბილეთი, მიარტყა აფიცერს ცხვირში და ლაზათიანათ შეუკურთხა. აფიცერის მხლებლებს ჯარის-კაცებს უნდოდათ ხუთი სალდათის დაქერა, მაგრამ სალდათები კარგებისაკენ გაიქცენ თოფებისთვის, ზოგიერთები აფიცერს და მის მხლებლებს მივარდნენ და თოფები წაართვეს. აფიცერს ძალზე სცემეს ჯოხებით და ქვებით და დაატუსაღეს. მსროლელთა პოლიკის სალდათებს უნდოდათ მოეკლათ ის მაგრამ არდაგანლებმა არ დაანებეს, გაიყვანეს კარგა მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც მიტინგი იყო და გაანთავისუფლეს. სალდათები მეტათ აღელვებული არიან. 27 ივნისს დაატუსაღეს 29 სალდათი. ჩუმათ გამოაპარეს ბათომიდან თბილისისკენ. მღელვარება მატულობს.

### მორიგება ვერ მოხერხდა

30 ივნისს მორიგებაზე მოლაპარაკება ჰქონდათ ტფ. თამბაქოების ქარხნის პატრონებს და მუშებს. გამოიორკვა, რომ ქარხნის პატრონები არაფერს უთმობენ მუშებს, ამიტომ მოლაპარაკება შესწყდა.

### გაფიცვა ნოქრებისა ქუთაისში

ეს გაფიცვა გამარჯვებით გათავდა და ვაქრებმა ყველაფერი დაუთმეს ნოქრებს.

### გაფიცვა ჭიათურაში.

მუშების გაფიცვა ჭიათურაში გაგრძელდა სამ კვირამდე და გათავდა მუშების სრულის გამარჯვებით. მრეწველებმა ყველა მოთხოვნა დაუთმეს მუშებს.

**მოთხოვნები**

ტფ. მებაღებმა მუშებთან ერთად თავიანთ „ხაზინებს“ გუშინ-წინ მოთხოვნები წარუდგინეს. მებაღები ითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს, 20% მომატებას, საცხოვრებელ ბინის გაუმჯობესებას, წელიწადში ერთი თვით დასვენებას, ავადმყოფობის დროს ბალის პატრონის საფასით ექიმობას, მოსამსახურეთა მიღების და დათხოვნის უფლებას, აბანოში წასასვლელად თვეში ორჯელ ფულის მიცემას, ყოველ წლიურად ფულის მომატებას და გაფიცვისათვის არავის დათხოვნას. მებაღებმა სამი დღის ვადა მისცეს პატრონებს. მერე გაიფიცებინან.

ამგვარი მოთხოვნები წარუდგინეს ყავილების მალაზიების ნოქრებმა და მომუშავეებმა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელნი ითხოვენ კვირა უქმე დღეებში დასვენებას, სადგომების ჰიგიენურად მოწყობას, ზრდილობიანად მოქცევას და სხვას.

**22 ივნისის გაფიცვის გამო**

როგორც წინათ ვსწერდით, წარსულ ივნისის 22 ტფილისში მოხდა საერთო გაფიცვა. ამის გამო რკინის გზის სამხედრო უფროსმა დახურა ტფილისის მთავარი სახელოსნოები და დებო, რასაც თან მოჰყვა ხელახალი გაფიცვა რკინის გზის მოსამსახურეებისა და ორი დღის განმავლობაში სრულიად შეწყდა მატარებლების მოძრაობა რკინის გზაზე. გზის უფროსი შეშინდა და მალე დაუთმო მუშებს, დებო და სახელოსნოები გააღო და ყველანი ისევ მიიღო, ვინც კი დაათხოვა გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის.

ამავე გაფიცვისთვის ტფილისის გუბერნატორმა 150 ათასი მანეთი ჯარიმა შეაწერა ტფილისის მცხოვრებლებს. მაგრამ ამანაც უკან წაიღო თავისი განკარგულება, რადგან დაინახა, რომ არავინ არ შეიტანდა მის შეწყვილ ხარკს.

**ჯუგანნი (ქაზაყი)**

დიდი ხანია ჩვენამდისაც მოახწია რეაქციის სუნმა და აქაურ ხულიგანებს ფრთები შეასხა. მთელ ქიზიყში ცნობილმა ხულიგანმა გ. ა. შვილმა, გაიგო თუ არა სუნი ამ რეაქციისა, ვითმეცხარბი, დაფაცურდა რე თავის დამქაშების მეო-

ხებით გამეფდა ჯუგანელ მცხოვრებლებზე. ეხლა ის ბატონია და ტყავს აძრობს ყველას. რომელი ენა ჩამოსთვლის და რომელი კალამი ასწერს იმის მოქმედებას? მან დაარსა სოფ. ჯუგანში ხულიგანთა ბრბო, ოცდა რვა კაცისაგან შემდგარი, და მათის მეოხებით აისრულა თავისი სურვილები. მან დააქვრინა პოლიციას ხუთი ძმა ზედალაშვილები, რადგან ესენი იმის კბილის გამომთხრელნი იყვნენ და მათის შიშით ვერა ჰბედავდა თავის სურვილების აღსრულებას. მერე არ იკითხავთ, ვინ არის ეს ვაჟბატონი, რომელიც ხალხზე გაბატონებულა? ეს გახლავთ ის ვაჟბატონი, რომელიც ცხრა წელწადი ჰყვლეფდა და ჰყვლეფს ხუთ საზოგადოებას ქიზიყისას. ეს ის ვაჟბატონია, რომელიც ხალხს ატყავებს და ქრთამებს იღებს. ეს ის ვაჟბატონია, რომელიც ქურდებს თავის ფრთებს ქვეშ ინახავს და ინახავდა, რომელ ერთსა და ორს ოჯახს შეჰვარდნია და მათის პატარძლებისთვის შეურაცყოფა მიუყენებია.

**ორი კაცის მოკვლა**

28 ივნისს, ღამის 11 საათზე მეტეხის ციხის ზედა ალაყაფის კარებთან მოჰკლეს გრიგოლ მამაცაშვილი და ირაკლი ჩარკვიანი, რომელნიც ამ დღესვე დააპატიმრეს მამადავითის ქუჩაზე. ამათ აბრალებდნენ აფიცრის ტემნიკოვის მოკვლა განიზრახესო. დაპატიმრებულნი ღამე მეტეხის ციხეში წაიყვანეს და ციხის კარებთან დახოცეს. ერთი პატიმარი აფიცვრმა გიორგი ზაალაშვილმა მოჰკლა თავის ხელით. მკვლელო განუტყულებიათ, დაპატიმრებულებმა გაქცევა დააპირესო. როგორც ამბობენ, ორივეს ტყვია წინიდან აქვთ მოხვედრილი.

**რ უ ს ე თ ი**

**გლებთა მოძრაობა.**

ამ დღეებში მშრამელთა ჯგუფს მოსვლია გლეხთა კრების შემდეგი დადგენილიებანი:

1) აქ შეკრებადნი უცხადებენ ჯგუფს გლეხთად მადლობას და თანაგრძობას, დაწმუხნებულნი არიან, რომ ჯგუფი შემდეგშიც არას დაუთმობს მთავრებას და აცხადებს თავადგან ეოვედ გლეხებს არა მშრამელთა ჯგუფის წევრებისს.

2) შეკრებილი უსურვებენ ჯგუფს, შემდგომ უფრო გაეფართოებინათ მათ გავრცელების მთლიანობა; ამედაც, მათი მოთხოვნებიანი გამოხატავენ იმსუგე, რასაც მოითხოვენ გლეხთა კავშირი და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია შესახებ მიწისა.

3) შეკრებილი დაწესებულები არიან, რომ წინდელ სოთაბიროს, როგორც ამოხეულს არა ზიარდებენ, არა თანხაწორ, არა სყუაგელთა და არა იარაღ კენჭის ერთი, არა აქვს არავითარი უფლება შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს რაიმე კანონები, გარდა თანხაწორი არჩევნებისა. შესახებ სხვა საქმეებისა, კრება უსურვებდა ჯგუფს, მიეღოს მინაწილება იმდენად, რამდენადც ამის ექნება საკვალიცა (სამქადაცებელი) მნიშვნელობა.

4) კრება უსურვებს ჯგუფს, შემდგომ (საქმეტიკო) მოქმედება თვისი შეთანხმებისონ გლეხთა კავშირის, სოციალისტ-რევოლუციონერების და რეპინის გზის კავშირის მოქმედებასთან.

5) კრებამ გამოთქვა სურვილი, რომ შეთანხმებული ჯგუფთა მიერ იქონი დაწესებული ეკლესია ადგილობრივი ბიუროებია.

— როგორც რუსული გაცხ. „მისლი“ ცემოგვეყმის ხეგნ დეპუტატს იონებ ბარათაშვილს დიდი უფრადლება და პატრივი დაუმსახურებია მშრომელთა ჯგუფში და საადგილ-მამულა (აგრადულა) კამისიაში. ეს მედგრად მოითხოვენ რომ მიწა მთლად და უსასიფადლოთ გადაეცეს მიწის მუშებს.

— ატკარსკის მხარეში, გრაფურონტოვ-დეშკოვის მამულში გლეხებმა გათაბეს სოთაბები, გახეხეს ტყეები და გადასწვეს შემამულეთა სახლ-კარი. იმავე მხარის ბრინტიკის მამულში 12 იონის სულ ერთიან გადასწვეს სახლები. დაიღუპა ზურა და ზირუტყვიან. საზოგადოდ სარატოვის გუბერნიას მოძრაობა ცეცსლივით მოქალაქე, შემამულენი საჩქაროდ ჰეიდაან მოძრაჲ ქონებას და თავს არიდებენ ხალხის აბოქრებულ ტალღას. მარტო სარატოვის და ტამბოვის გუბერნიებში გაიყადა 36 ცხების ზავილი. ამ გუბერნიების უველას კუთხეში ჯარო მოქმედებს, მაგრამ მოძრაობას მინც ვერ ახერგებს, რადგან ნაწილი ჯარისა ხალხის მხარეს არის.

— კირსინოვის მხარეში გლეხებმა გადასწვეს შემამულეთა სახლ-კარი და შეუდგენ თივისა და ბაღებიდან ხალის გაზადგას. ორი მამული გადასწველად აიკლეს. მხარეში საშინელი მოძრაობაა.

გლეხები ნათესობიდან არაფერს არ ანებებენ შემამულეებს და ძნა სულ თვითონ მიაქვთ.

— გლეხები უველეს არ აკლებენ და არა სწვავეს შემამულეთა ქონებას. ბეგრჯან მოძრაობა უფრო შეკრებილია. ტამბოვის ზოგოერთ მხარეში, მაგალითად, გლეხებმა რწმუნებულნი აირჩიეს, რომელიც ანაწილებენ სამუშაოს შემამულეთა მამულებში, ნაშნავენ სამუშაო ნიხის და სხვა. აქ, სადაც შემამულე უარს აბობს, გლეხები მუშაობის ნებას არ აძლევენ. სხვა არავითარ ძალმომრეობას არა ხმარობენ.

— რილსკის მხარეში დიდი მამული აქვს თავბარათინისკის. მისამსახურეებსაც ამ თავდას სულ უცხო ქვეყნული ჰევის. გლეხებმა განახნათ დაადგინეს, დათხოვილ იქმნეს ეს უცხო ქვეყნული და ამათ მაგიერ ადგილობრივი გლეხები დაინიშნენ. შემამულემ არ შეიწყნარა ეს მოთხოვნილება, სადალათები დაიბარა და ეგზეკუციად ხაუყენა გლეხებს.

სუჯის მხარეში თავდა-ახნაურობის წინამძღოლს იურიევის და შემამულეებს მოუთხოვიათ ბოქაუსთისთვის, ძალა დატანეთ სტრავინიკებისა და ჯარს, მხნედ იმოქმედან და თივის სრფლას არ დაყრიდონ სოლმეო. ბოქაუსს, აღბად, ხალხის შიშით, უარი განუხსნდებია. შემამულეებმა საზოგადო შეიტანეს ბოქაუსსზე.

— ტულაში თურმე სასტუმროებში თავისუფალი ადგილი აღარ არის. ნომრები სულ ერთიან სოფლებიდან გაქცეულ შემამულეებს დაუტკრათ.

— ატკარსკის მხარეში (სარ. გუბ.) რამდენიმე მამული აუკლიათ. ზარალი 2 მილიონამდას არის.

— სახელმწიფო სოთაბიროს თავმჯდომარის მურომტევის მიუღია სარათინის მხარის შემამულეებისა, მღვდლებისა და მამსახლისების დეპუტა, რომელნიც ატეობანებენ, ხეხის მხარეში ძლიერ დიდი მოძრაობა იწყება. ეველასფრის მიხეცია, დეპუტის შემდგენლეთა ზნოთ—სამინისტროს დეკლარაციაა. საქმეს მსოლად მოწინავე (პროკურსოულ) სამინისტროს შედგენა განსწორებისა.

— კურსკის გუბერნიაში დმიტრიევსკის მხარის გლეხობა გაფიცულია. შემამულენი გუბერნატორს ჯარს სოხოვენ, რადგან გლეხებია იშუქრებან, ჭარნახულს გადავწვავთ.

— ელცკის მხარის ერთ სოფელში მიტინგი მომხდარა, რომელსაც 10,000 კაცა დასწრებია. ამბობენ, მიტინგზე გადასწვეატეს, აღარ აიკლონ

შემამულეები და მხოლოდ გაფიცვით აბრძოდნ.

— ლიტოვის მხრის ჩრდილოეთ ნაწილში გლეხებს ხელთ იგდეს შემამულეთა სძავარი ადგილები, სთაბუენ და თავა მაქვთ თავისთვის შინ. ზოგიერთ კონომიდან ჰვავიც მიაქვთ გლეხებს.

— სრატოვი. ბელანდში გლეხებმა ბედლებიდან 97 ტომარა ფეხილი გაიტაცეს.

— 18 აგვისტოს ლექსეევკაში, ორთხუის გუბერნიისში აუკლიათ გრაფ შერეშეტაევის მამული. მოუკლიათ მამულის გამკე, გამოუწვევათ 57 სტრაჟნიკი, ამთგან მხოლოდ 10-ს დაუხწვეთ თავი, დანარჩენებს კვლიც კი ვეღარ აღმოუჩინათ. 19 აგვისტოს გლეხებს გაუმართათ მიტინგი, რომელსაც ათი ათასი კაცი დასწრებიან.

— ზინოვიევის მამულ ზვიგინკაში გლეხებმა დაანგრეს სკეინომიო კანტორა, დასიეს წიგნები და სტეშეს კანტორის გამკეს. კახაკებმა შესწვიტეს ნგრევა-აწიოკება.

— ბეერს ადგილან გლეხები თავიანთ ნებესე სთაბუენ ბელანს შემამულეთა და სეკელსიო მიწებზე. მტხოვრებლები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩქარა კერძო შესაკუთრეთა მიწები გლეხების ხელში გადავა.

— გაიფიცენ გლეხები კურსკის გუბერნი. მიკელ ლოვისკის მხრანში. შემამულეთა ძნა მიანდორში აღებან. გლეხები ახლო არ ეკარებიან და არც სხვების უშეებენ.

— ბანხუტში გლეხები უარს ამბობენ სხელე მწიფო მიწებში სთავარო ფისის მიტემაზე, სინამ სთათბირო არ გადასწვეტს აგრარულ სკითსს.

**მუშათა მოძრაობა.**

22 აგვისტოს ეკატერინოსლავში მიტინგი გამართეს რუდნიკოვისკის ამხანაგობისა, უსენისკის მდაროს და ბოსისეს ქარხნის მუშებმა. გამოიწვიეს დრაგუნები და წრე შემოანტყეს მიტინგს. ხელსი დაიშალა და გამართა ფრანგთა კამანისის მდარობისაკენ, სიდანანც გამოიწვია აურებელი მუშა; შეერთებულის ძლით მუშებმა მოსოსოვეს ზოლიდან ორატორის გამკება. ორცა ტუსლდა აუხოვისკაში მიჰეუვდათ, მუშები შეეცადენ მის განთავისოფლებს და ქება დაუშინეს გაფიცულებს. ტუსლდა თავლანში შეამწედაეს, მგრან მუშები ტეცხლას წაკადებას დაემუქრენ. მამინ აფიცერმა გაუშვა ორატორი.

— მუშებმა მიტინგი გამართეს აუხოვკაში და დაეგინეს უკადურესი ზომები მივიდოთ, თუ მემ-

დროით მართლად არ დაეკმაოფილეს მათი მოთხოვნები. გამართა ჯურაცხელ მუშის თანდასწრებით კარზოვისკი მდარობის მუშათა მიტინგი, რომელზედც გადაწედა ბოიკოტი გამოეცხდაოს სხელე-მწიფო სარეე დუქნებს და სსრტაკად დასჯონ ვინც მაგარ სსხელის სმარებაში აქნება შემხნეული.

— სოფ. ლებედინში გამართა მუშათა მიტინგი. მინაწილებას აღებდა 4,000 კაცი. ივენენ აგრეთვე გლეხობაც. დრაგუნების მოსვლის შემდეგ დაიჭირეს რამდენიმე კაცი. გლეხებმა მოთხოვეს მათი განთავისოფლება. მოსდა არეულობა. დასტრეს აფიცერა, მოჰკლეს 1 სლდათი და მძიმედ დასტრეს 2; დაჭრილია 4 გლეხი.

**მოძრაობა ჯარში**

ხელმწიფის სეუკეთესო გვარდას ჰელანტობს მოავრბანს. ბრწეინვალე გვარდას ვეღარ ითმენს ზოგიერთ უფროსის ძეკელებურ თვითნებობას და დლეანდელ წესწეობილებას. ზავლოვისკის ლეიბ-გვარდაის ზოლკში დაიწეო აღელები, რომელიც გამოიწვია მორიგ აფიცრების ეოფა-ქრეკამ. აფიცრმა უმახეზოდ სილა გარტეა სლდათს. სლდათებმა ამ სლდამსეე მოთხოვეს სქამის გამოძიება. გავიდა 6 დლე. უფროსმა ანავითარი ზომად არ მიიღო სქამის გამოსძიებლად. სლდათებმა გადასწეიტეს, თუ ამით მოთხოვნილებას არ აასრულებს ზოლკის უფროსი, სსვა ნაინად მოიქნენ.

— სეესრცხლოლში ისეე ლელანს ჯარი. მოსდა სლდათების მიტინგი, რომელსაც დაეწრო ათასი სლდათი და მატროსი. 13 ვერსის სისოარეხე სეესრცხლოლიდან მოსდა მეორე მიტინგი, რომელსაც დაეწრო 400 მატროსი. ოგორც ზირეელ, ისე მეორე მიტინგზე დადგინეს: გამოეცხდაონ ნდობა ზანლამენტის მშრომელ ჯკუფს და აცნობონ, რომ სლდათები და მატროსები მსარს დაუტერენ მომავალ ბრძოლასში.

— ტემბოში კავალერიის მეჰიდე სთადანრიგო ზოლკში არეულობას. მოჰკლეს აფიცერი, დასტრეს დრაგუნი და მოჰკლეს 6 ცხენი ნეუჩის ზოლკის ესკადრონისა, რომელიც იერაშით მივიდა ავანეებულეობზე. კავალერიტები ეახარებში ჩსსფორდენ და ზოზიცი: გამავრეს.

— 14 აგვისტოს ნეტერბურგში სანაოროთა ბატალიონის ერთის ოტის უფროსმა შეჰკრობა სლდათები, წაუკითხა ზრეობრეუენისკის ზოლკის მოთხოვნილებანი და ჰკითხა: „შეუძლიან ვისმე თქვენცანს

ომისა თქმა, რომ ყველა ეს სიმართლეს? გამოვიდა ერთი უნტერ-აფიცერი და სთქვა: „დავ, ყველა-ფერი, რაც ჩაა სწერას, ჭეჭმარტებსა და ესლათოელი ჯარი მკვას თხოულობსო“. გაბრახებულმა აფიცერმა სლდათს ლანძღვა-გინება დაუწყო და შერე ამბავი მაუტანა ზოლკის უფროსს, მაგრამ სლდათებმა არ ღაცუნსლდებინეს ამსნაგო. სლდათებმა გადასწევიტეს, აშკარად გამართონ სლდეუ მიტინგები. რადესაც ერთმა სლდათმა წინადადება მისცა ამსნაგებს, მივლით ზრუტობრევენსკის ზოლკის მოთხოვნადებინათ, მთელმა ზოლკმა „ურსა“ ძხილით გამოაცხლდა თანსობმა.

— გზ. „რეხ“-ის სიტყვით, 14 ავისის არეულობა მომსლდარ გრენადერთა ზოლკში, რომელიც ზეტერ-გოფში სლდას. სლდათებმა ფასარმების კსოში მიტინგო გამართეს რეზოლაციების შესამუშავებლათ. ამ დროს ზეტერგოფში შემოსევეთ სელ-მწიფე მისულა და ღუნსლავს კსოში სლდათების ურლიობა. სლდათებს ღუნსლავთ თუ არა სელმწიფე, მიფანტ-მიფანტულან. სევე მოქცეულან აფიცრება, რომელნიც ცოტა მოშორებით ჯგუფად მღარან. სელმწიფე ისე წასულა ფასარმებიდან, რომ არავინ არ უნსლავს. ზატარა სლს უკან სსსსლდეუში ზოლკის უფროსი ღაუბარბობა.

— სევესტაზოლში ოცდა რვას ამ თვეს, რადესაც ჩუხნინი, უფროსი შავი ზღვის სსმსლდრო გემების და ჯარისა, გამობრძახებულა სსსეირნოდ თავის სსსაფსულო სსსსლდის ბაღში, ვიდან მატროს სსსაიკვდილოდ დაუჭრია და მიმალულა. დაჭრილი სსმკურნალოში წაუეგნათ, მაგრამ მალე გარდაიცვალა. ჩუხნინმა დადი სსმსსლური გაუწია ჩვენ წინაღულ მთავრობას. მან უწყალოდ ამოხსცინა მატროსები ჯანსეუბულ გემებსედ სევესტაზოლში ამ რამდენიმე თვის წინათ, სარბაზნებით დაადეწინა რამდენიმე სსმსლდრო გემი, რომელნიც რუსეთის სლსს უდიროდ და ორმოცდა ათ მილიონად და სიკვდილით დასაჯა ზღვის აფიცრები ზეტრე შმიდტი და მსთან რამდენიმე ჯარის კაციც მსოლოდ მისთვის, რომ მათ თამამად უთხრეს ჯარებს: „თქვენ მოგაღენი სართ ემსსლურთ სსმშობლოს განთავისუფლების სსქეს“ და გაბეღულად გამოვიდენ წინ, წინადადე დარწმუნებულნი, რომ ამათ მოკლავი სიკვდილი და ვაჟაკურად შესწირეს თავის სსმშობლოს თავი.

# სასლდნო არაკი

(თარგმანი)

ყველა იცნობს იმ ბანჯგელიან ქიას, ლორწოიანსა და მუცელ გაბერილს. ბნელს კუთხეში, მზის სინათლეს მოშორებული აშენებს იგი თავის ავაზაკურ ბუდეს. ამ ბუდეში ვარდება საწყალი გაუფრთხალებელი ბუზი და ილუპება. საზიზლარი ქია, თავისის ბრიალა თვალებით და გრძელ მოკაკულ ბრქყალებით თითქო განგებ არის შექმნილიო საკბილოს დასაქერად და დასახრჩობად.

ეს საშინელი მტარვალი ობობაა. აბა დააკვირდით, როგორ უძრავად და არხენად ზის ობობა თავის კუთხეში, — ვითომ და არაფერიო, — თითონ კი თვალებს აქყეტებს, ხომ არ ჩავარდნილა ვინმე ჩემს გაბმულს მახეშიო. მერე რა ოსტატურად ჰქსოვს იმ მამაკვდინებელს ქსელს, რომ უილაჯოდ გააბას და შიგ ჩაპკლას საწყალი ბუზი! უკეთ რომ მოქსოვოს თავისი ქსელი, ის შეჩვენებული დროსაც არ იშურებს: ჯერ ერთს ძაფს გააბამს, მერე მეორეს, მესამეს და სხვებს. შემდეგ ჯვარედინად გადაბამს ძაფს და კინძავს. ასეთს დასლართულს და მაგარს ქსელში თუ გაება ბუზი, მთელი თავის ძალ-ღონეც რომ შემოიკრიფოს და გაიწიოს, მიინც ვერ გაარღვევს.

აჰა, ქსელი მზადაა, მახე დაგებულია, თავს ველარავინ დააღწევს. ობობა ძვრება ბუდეში და ელის, როცა მშიერი და თავკარიანი ბუზი სანუკვარის საძებრად მოფრინდება. დიდხანს არ უნდება ლოდინი — ბუზი საქმლის ძებნაში აქეთ-იქით ეცემა და უცბად დაგებულ ქსელს წაწყდება და გაებმება.

ცხადია, რაც მოელის ბუზს! ობობამ მოპკრა თვალი საკბილოს და საბუღარიდან გამოძვრა თვალეზ ანთებული, ბრქყალებე გაჩახხული ნელნელა მობორღლავს... ან რა ეჩქარება! შეჩვენებულმა კარგათ იცის, რომ თუ კი გაება ბუზი, ველარსად წაუვა. თან და თან უახლოვდება თავის საკბილოს და გადმოყარულბულს თვალებს უშტერებს. ბუზი ყუჩდება, თრთის... ხედავს აუცილებელს სიკვდილს და უნდა თავი დააღწიოს, მაგრამ ამაოა მისი თავგანწირული

ბრძოლა და სულის კვეთება. ქსელი უფრო და უფრო მაგრა იხლართება, ახალი ძაფები და კვანძები უფრო და უფრო მაგრად ეხვევა ტანს. ობობა კი ამ დროს თანდათან უახლოვდება. უღონო, უსულო ბუზი მთლად მტრის ხელშია.

ახლა კი მტარვალის ჩასკიდებს ბრქვალებს უბედურს, მთრთოლვარე მსხვერპლს ახრჩობს და სწოვს ნელნელა სისხლს. ჯერ პირველს სისხლის წყურვილს რომ მოიკლავს, ცოცხალ-მკვდარს მიავდებს. მერე, რამდენისამე ხნის შემდეგ, ისევ უბრუნდება და კიდევ სწოვს... ასეთი წვალება დიდხანს გასტანს ხოლმე, ზოგჯერ იქამდის, ვიდრე საცოდავი ბუზი სისხლის უკანასკნელს წვეთისაგან არ დაიკლება. გაუმძღარი სულთამხუთავი იმის სისხლით სტკებება და თვალს არ აშორებს საკბილოს, სანამ ერთი ბეწო სული პირში უდგია.

ბოლოს ბუზი კვდება. ობობა იმის გამოფიტულს ტანს ქსელიდან გადმოავდებს, როგორც უვარგის ნავაგს. ერთი ნიავის დაბერვა, და ბუზი თითქო არც კი ყოფილაო. ობობა კი კმაყოფილია, გაძღა და საბუდარისკენ ბრუნდება. კმაყოფილია თავის თავისადაც და მთელის ქვეყნიერობისადაც და გულში ასე ამბობს: მადლობა ღმერთს, ჩვენს დროში ამ ქვეყნად პატიოსანს ხალხს ჯერ კიდევ ეცხოვრებაო.

\* \* \*

**ბუზი**, რომელსაც სწოვენ და მერე ჰკლავენ, ვისის სისხლითაც ობობები სძლებიან, — ეგ თქვენა ხართ, ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკო! ეგ ბუზი შენა ხარ, დაჩაგრულო ხალხო; თქვენა, ქარხანა ფაბრიკის მუშებო; თქვენ, ფრთხალო ქალებო; თქვენ, სუსტო დედაკაცებო; ყველა, ვისაც თავისი სიმართლე ვერ გაუტანია; თქვენ, სალდათობის უბედურო მსხვერპლნო; ერთის სიტყვით, ყველა თქვენ, გაქურდულნო და გაყვლეფილნო, ვისაც კარში გყრიან, რაკი გამოსაწოვნი სისხლი ძარღვებში აღარ გიდგიათ.

თქვენა ხართ შემოქმედებითი ძალა, გული და გონება თქვენის ქვეყნისა. თქვენ ერთი ლა უფლება გაქვთ, რომ უმდურავად და უჭუმრად ჩაკვდეთ სადმე აყროლებულ კუთხეში მიგდებულნი, და ეგ იმის სამაგიეროდ, რომ თქვენ, და მხოლოდ თქვენ, გამოჰკვებეთ და გააძლი-

ერთ თქვენის სისხლით, თქვენის ოფლით, თქვენის გრძობით, მთელის თქვენის სიცოცხლით თქვენი ბატონები და დამჩაგვრელნი, სადაგელი ობობები.

**ობობები** — ესენი არიან ბატონები, ვერცხლის მოყვარენი, მყვლეფელები, თავდაუნაურნი, მდიდარნი, მღვდლები, მაქანკლები, და ყველა ჯურის მუქთა-ხორა. ობობა დიდებულია, რომლის უღელ ქვეშ ჩვენა ვკენესით; სჯულის მდებელია, რომელიც გვჩაგრავს; მტარვალის, რომელსაც ხელში ვყევართ. ობობები ყველა ისინი არიან, ვინც ჩვენის ხალხის ხარჯით სცხოვრობს, ვინც გვეთლავს, ვინც ბოროტად დასცინის ჩვენს წვალებას, ჩვენს ამაოცდას.

**ბუზი** — ეგ ბედშავი მუშაა, რომელიც უნდა დაემორჩილოს ყველა კანონს, სქელჯიბიანის გამოცემულს, უნდა დაემორჩილოს, რადგან საწყალს ლუკმა პურიც კი არ გააჩნია.

**ობობა** — ეგ მექარხნეა, რომელიც თითო მუშახედ ღლეში ხუთ-ექვს მანათს გამოჩეხება და ამავე მუშას უსირცხვილოდ, თითქო მოწყალებათაო, 10 და 12 საათის აუტანელი შრომაში ოთხ აბაზს აძლევს.

**ბუზი** — უბრალო მუშაა, რომელიც მაღაროების მოწამლულს ჰაერში იღუპება, რომ მიწიდან ამოიღოს საუნჯე, თითონ კი მაგ საუნჯეს თავისთვის ვერ გამოიყენებს.

**ობობა** — აქციონერია, რომელიც არ სჯერდება თავის აქციების ფასის გაორდა-გასამკვეებას დამუდამ იმის ცდაშია, რომ რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს, და ეს მოგება უღონო მუშას მოჰპაროს. მაგრამ თუ მუშამ გაბედა და ხელფასის მცირედი მომატება მოითხოვა, აქციონერი მაშინვე ჯარს იწვევს, რომ თოფ-ზარბაზნით გაჰფანტოს მემამოხენი.

**ბუზი** — ის ბავშვია, რომელსაც დაბადებითვე წილად ხვდა აუტანელი შრომა ქარხანა-ფაბრიკასა, სახელოსნოსა თუ მამის ქოხში, რომ სიმშლით ამ წუთისოფელს არ გამოესალმოს.

**ობობები** — ის ბედნიერ მშობლები არიან, რომელნიც ზრდიან თავიანთ შვილებს სიმდიდრესა და ნებიერობაში, როცა უილაჯობა აიძულებს მუშას უარპყოს მშობლიური

სიყვარული და სასიკვდილოდ გასწიროს თავი-სი ოჯახი.

**ბუზი** — უბრალო კაცის გამოუცდელი ქალია, რომელსაც სურს პატიოსან შრომით იშოვოს ლუკმა-პური და რომელიც იძულებულია, დაჰყვეს ავხორც მქარხნის ან მისის მოურავის გულის თქმას, ოღონდ კი მისცენ სამუშაო. როცა გულის-ნდომას აისრულებენ, დავიდარაბის ასაცილებლად, მაგისტანა ქალს კარში გააგდებენ, ორსულიც რომ იყოს. რა ენადვლებათ, ღარიბი კაცის ქალი ხომ უმწეოა და თავის სიმართლეს ვერ გაიტანს.

**ობობა** — ეგ მდიდარ ოჯახის შვილია, მოქეიფე ყმაწვილი კაცი, პატიოსან ქალების მატუნებელი და გამრყენელი, რომელსაც სასიქადულოდ მიაჩნია რაც უფრო ბევრს უმწეო ქალს გააუბატიურებს.

**ბუზი** — ეგ შენა ხარ, ქედმოხრილო მიწის მუშავ! ოფლითა შენითა ამუშავებ მდიდრების მიწას, სთესავ პურს, რომელსაც შენ ვერ მოიმიკი, ახარებ ნაყოფს, რომელსაც გაუმადლარი მემამულე წაიღებს.

**ობობა** — ეგ მდიდარი მიწის მფლობელია, რომელიც წლითი წლობით უმატებს ღალას და აუტანელ შრომის ხელფასს კი უკლებს; უღმერთოდ ამუშავებს იჯარადარს, ბეჩავ ბოგანოს და დღიურ მუშას, იმისთვის რომ თითონ მხიარულად და განცხრომით იცხოვროს.

ერთის სიტყვით **ბუზები** არიან დაჩაგრულნი, დავრდომილნი, დამონებულნი და სილატაკით დაბეჩავებულნი.

**ობობა** — მემამულეა, ურცხვი მძარცველი, სხვა და სხვა სახის მტარვალი.

**ბუზები** — ჩვენა ვართ — უბრალო, ბეჩავი ხალხი, ვინც პატარაობითვე ვართით საკურთხევის წინაშე, ქედს ვიხრით მღვდლების წინ, ვუჯერებთ მათ სიკრუეს და ვცახცახებთ, როცა ჯოჯოხეთის წვალეზას გვიქადიან; ჩვენა ვართ, ვინც, მღვდლების გასახარებლად, ვემტერებით სხვა რჯულის ხალხს.

**ობობები** — მღვდლები და ბერები არიან, რომელნიც გაუბედავ ხალხს გონებას უხშობენ და სულს უწამლავენ; ქრისტეს სახელით უქადაგებენ მონურ მორჩილებას მდიდრების წინაშე და სწყველიან საწყალს მუშებს, როცა

ესენი თავიანთ სისხლის მწოველებს შეებრძოლებიან ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

— უწინ ობობები თავიანთ ქსელს სოფლებში აგებდენ, ეხლა კი სამრეწველო ქალაქებში გადავიდნენ, მდიდრების და განებივრებულების უბნებში დასახლდენ. თუმცა საქარხნო ქალაქებში მრავლად არიან, მაგრამ არც დაბასა და სოფელს აკლებენ თავიანთ წყალობას. ყველგან გახლავან, ყველგან, საცა კი ხალხის ყვლეფა შეიძლება. ყველგან ესტუმრება გაუმადლარი, მსუნავი კაპიტალისტი, ყველგან სადაც კი მოიბოვება ლატაკი მუშა, ქარგალი, ვალებში ჩაფლული გლეხი ან ბოგანო. ყველგან ვხედავთ მდიდრების ხერხიანად დაგებულს ქსელს, ქსელში კი ცალ-ცალკე მუშებს, რომელნიც თვალ ახვეულნი შიგ ჩაცვივნულან და უჩუმრად იღუპებიან.

რამდენი კირი მოსდევს სუსტ ბუზების უსწორო ბრძოლას, რომელიც საუკუნოებით გრძელდება! ეს ბრძოლა ტანჯვითა და სისხლით აღბეჭდილი ისტორიაა.

მაგრამ რისთვის გაგონებთ წარსულს? წარსულს ხომ ვერ დავაბრუნებთ! სჯობს ისევ აწმყოს და მოშავალს მივაქციოთ ყურადღება, დავაკვირდეთ ბუზების და ობობების ბრძოლას! დავაკვირდეთ ბრძოლის ღონეს, რომელსაც ჩვენი მტერი ხმარობს, შევიგნოთ მისი ფანდები, მაგრამ ყოვლის პირველად კი შევერთოდეთ.

დასუსტებულებმა შევეართოთ ჩვენი ძალნი, რომ გავარღვიოთ გარს შემოხვეული ქსელი და დავლევწოთ ბორკილი. განვდევნოთ ჩვენი სისხლის მწოველნი მათის სიმაგრებიდან, მოვფინოთ ყველგან ცოდნის ნათელი, რომ საზიზღარმა მტარვალმა ველარ ჩაიღინოს თავისი ბოროტი საქმე. ოღონდ თქვენ მოინდომოთ, ოღონდ ერთი მოინდომოთ, და უძლეველნი გახდებით! მართალია ობობები ჯერ კიდევ ძლიერნი არიან, მაგრამ რიცხვით ძალიან ცოტანი. თქვენ კი, ბუზებო, თუმცა ცალ-ცალკე უღონონი და უძლურნი ხართ, მაგრამ რიცხვით უთვალავნი და კიდევ ეგ არის თქვენი ძალა, თქვენა ხართ სიცოცხლე და ნათელი! ოღონდ შევერთოდით და თქვენის ფრთების ერთის შემოქნევით გაარღვევთ ყველა მახეს. ნაკუწ - ნაკუწად აქცევთ ქსელს, რომელსაც

თქვენი ხელფები შეუკრავს და გაქირვების და შიმშილის მორევში ჩაუთრებიხართ! ყველა უბედურობას, ყველა მონობას მოუღებთ ბოლოს! ოღონდ მოინდომეთ!.

ისწავლეთ ეგ მონდომა!

რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი.

### გ ა ნ ც ხ ა ლ ე ხ ა ნ ი

ყოველდღიური სანალიტიკო და სლავოტრატურო გაზეთი

## უ რ ო მ ა

სურათებიანის დაშტებით ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით ერთის წლით 7 მან. თვის თვით 50 კაპ. სურ. დამატებითი 80 კ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

პირველ ივნისიდან წლის დაშტევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტონის ადრესი: ვანქის დადი ქუჩა, სსსლი მარტირუხაფისა.

## ი ვ ე რ ი ა

1906 წელს

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად, ზომით ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით 3 მან., 5 თვით — 2 მანეთა.

„ივერიის“ შარშანდელ ხელის მომწერთ, რომელთაც ხელმოსაწერი ფული სრულად ჰქონდათ შემოტანილი, დაურიგდებათ დაკლებული პრემიები №№ 8 — 11, რომლებიც უკვე დაბეჭდილია, ხოლო დანარჩენ მე-12 ნომრის მაგიერ გაგზავნებათ ყოველკვირეული „ივერია“ ერთი თვის განმავლობაში.

სქელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ფრედიანის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисть Редакция «ИВЕРΙΑ».

საემსწავილა ჟურნალა

## ნ ა კ ა დ უ ლ ი

სურათებით.

წელიწადი მეორე. წელიწადი ათვლებს პირველ იანვრიდან იანვრამდე.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, წ.-კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში და მარიამ დემურის ბინაზე — ალექსანდრეს ქუჩა, № 5. რედაქცია იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

ჟურნალის ფასი: ერთათ ორივე გამოცემა 5 მან., ცალ-ცალკე — სამ-სამი მ., ნახევარის წლით: ერთათ — 2 მან., 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან., 50 კაპ., თვეში კი ცალ-ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის — 15 კ., მოზრდილთათვის 25 კ. წლიურ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

შარშანდელი მთელი წლის ნომრები იყიდება სამ მანეთათ.

პირობებზე მოსალაპარაკებლათ რედაქცია ღიაა დილის 9 სათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე.

ფოსტის ადრესი: თფილისი ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი. გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

ყოველდღიური გაზეთი

## „ს ი მ ა რ თ ლ ე“

ფასი გაზეთისა:

წლიურათ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით 2 მან. ორი თვით 1 მ. 50 კაპ. ერთი თვით 80 კ. მუშებისათვის თვიურათ ღირს 60 კ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კ.

რედაქცია და კანტონა იმყოფება „ველიკოკანა-ჟესკა“ ქუჩაზე № 17-

სტამბა „იღეალი“ (მ. დ. კენაძისა)

ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.